სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მეორე კალენდარული შეხვედრა. მის წინააღმდეგ თამაშობდა მინსკის "დინამოს" გუნდი.

თბილისელებმა სტუმრებს სწრაფი ტემპი შესთავაზეს. მინსკელებმა იგი მიიღეს. ბურთი ელვისებური სისწრაფით გადადიოდა მოედნის ერთი ნახევრიდან მეორეზე. კრიტიკული მომენტები მეტწილად სტუმრების კართან იქმნებოდა. მე–17 წუთზე გაიოზ ჯეჯელავამ დროზე მიუსწრო პირის ხაზისაკენ მიმავალ ბურთს და ჩააწოდა მინსკის "დინამოს" კართან. ბურთს მიუსწრო თავდამსხმელმა ზაზროშვილმა და ანგარიში გახსნა. პირველმა წარმატებამ ახალი ენერგია შემატა თბილისელებს. 23–ე წუთზე ცენტრიდან დაწყებული ლამაზი კომბინაცია კუთხური დარტყმით დააგვირგვინა მეკარე კოჩეტოვთან პირისპირ გასულმა აროშიძემ. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში მინსკელებმა მრავალი იერიში მიიტანეს თბილისელთა კარზე, მაგრამ მცველთა და ნახევარმცველთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მეკარე მარღანიას შესანიშნავმა თამაშმა სტუმრებს არ მისცა თუნდაც ერთი საპასუხო ბურთის გატანის საშუალება. თბილისელმა თავდამსხმელებმა კი – კარში არაზუსტი დარტყმების გამო – დაკარგეს ანგარიშის გადიდების რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა.

მატჩი მოიგო თბილისის "დინამომ", ანგარიშით – 2:0.

მორიგ შეხვედრას თბილისელები ჩაატარებენ 10 მაისს ერევანში ადგილობრივი "დინამოს" გუნდთან.

"კომუნისტი", 7 მაისი, 1948 წ.